განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

15.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

27.11.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205050567** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სტრატეგიული კომუნიკაცია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0414 მარკეტინგი და რეკლამა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br><br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |

| | |
|---|---|
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br><br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br><br>764, 11.12.2012 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელი ბიბილაშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია თვალჭრელიძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დგვეფაძე - შპს „იმპექსი“ |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ჩეკურიშვილი,სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

## § ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლაში შეიქმნა 2009 წელს. როგორც დაწესებულება უთითებს, მისი მიზნები და შედეგები ფარავდა სფეროს იმ ძირითად გამოწვევებს, რაც პროგრამის შექმნის მომენტში საზოგადოებასთან ურთიერთობებს ხდიდა აქტუალურს და საჭიროს. შედეგების აღწერილობის მიხედვით, პროგრამის შექმნისთანავე მის მიზნებს შორის იყო ისეთი კურსდამთავრებულების მომზადება, რომელთაც საჯარო და კერძო სექტორებში წარმატებით შეეძლებოდათ გამკალვება სფეროს სპეციალისტის წინაშე არსებულ ტიპურ გამოწვევებთან.

პროგრამაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა 2012 წლისათვის, როცა დაწესებულებამ იგი წარადგინა აკრედიტაციაზე. აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის N764 გადაწყვეტილებით, პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა რიგი შენიშვნები პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით,რისთვისაც აღნიშნულის შემდგომ, პერიოდულად უნივერსიტეტი ახორციელებდა ცვლილებებს პროგრამის განვითარების მიზნით. ბოლო ცვლილებები პროგრამაში შევიდა 2019 წელს და როგორც დაწესებულება აღნიშნავს, გაძლიერდა პროგრამის როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ნაწილი, რამდენიმე სავალდებული სასწავლო კურსი გამსხვილდა და მოერგო თანამედროვე მოთხოვნებს. ასევე, პროგრამას დაემატა არჩევითი საგნებიც. კონკრეტულად, დარგობრივი სავალდებულო საგნების მოდულს დაემატა კომუნიკაციის თეორია, ახალი მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა. დარგობრივი არჩევითი საგნების მოდულს - ბრენდის მართვა, საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაციები. ამას გარდა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ნაწილზე: კურიკულუმს დაემატა სავალდებულო საგანი - აკადემიური წერა, განვითარდა საგნის - კვლევის მეთოდების სილაბუსიც, საუნივერსიტეტო დონეზე დაიხვეწა პლაგიატის პროგრამის - Turnitin-ის გამოყენება.

2015 წელს გამოცემული ბრძანების საფუძველზე შეიცვალა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი საზოგადოებრივ ურთიერთობებში (სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ნაცვლად).

პროგრამას აკრედიტებულია 2021 წლის 31 დეკემბერს იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N637/ი ბრძანებით, პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუხანგრძლივდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

## § აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის N MES 7 21 0000975639 ბრძანებით, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისათვის, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 15 ოქტომბერი. ქვეყანაში არსებული პანდემიის ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე, პროგრამის შეფასება, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუ, ასევე შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, zoom-ის პლატფორმის მეშვეობით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აღსანიშნავია, რომ პროგრამისა და წარმოადგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ხუთივე სტანრდარტთან. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები პროგრამის შესაბამისია, პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და შედეგები, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის კურიკულუმით, მიღწევადი, რეალისტური და შრომის ბაზარზე ორიენტირებულია. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურია, მთლიანობაში სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია, თუმცა, რეკომენდებულია 2.3 ქვესტანდარტის გადახედვა და სასწავლო კურსებში შეფასების ფორმების დაზუსტება. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო ყველა ქვესტანდარტს, გააჩნია საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, შესაბამისი კვალიფიკაციით, რომ ეფექტიანად მართოს პროგრამა და ასევე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, წარმატებით ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე მექანიმზები.

**<u>უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ</u>**

2021 წლის 15 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც კავკასიის უნივერსიტეტმა გამოაგზავნა თავისი არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია ქვემოთაღნიშნულ რეკომენდაციებზე უსდ-ს კომენტარები. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნა დატოვა უცვლელი.

**რეკომენდაციები**

- აუცილებელია, სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები;

- აუცილებელია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და გამდიდრდეს დარგში არსებული უახლესი, სამაგისტრო დონის ადექვატური ლიტერატურით;

- რეკომენდირებულია, უსდ-მ დროულად და ეფექტიანად აამოქმედოს უსდ-ს მიერ შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც უზურნველყოფს მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას და პერსონალის უწყვეტ განვითარებას.

**§ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაში ან ცალკე დოკუმენტის სახით გაიწეროს უფრო დეტალურად მიღების კრიტერიუმები;
- სასურველია კურსებში გაიზარდოს პრაქტიკის წილი;
- სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უფრო მეტი სტუდენტი დაინტერესდება სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამისთვის განკუთვნილი სტაჟირების გავლით;
- სასურველია, განისაზღვროს მაგისტრანტთა კვლევითი კომპონენტის მაქსიმალური რიცხვი, რომლის ხელმძღვანელობაც ერთდროულად შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, უსდ-მ მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, სტუდენტებს შესთავაზოს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, კვლევასა თუ კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა და შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობებში მათ ჩასართავად;
- დარგში არსებული სპეციფიკის მიუხედავად, სასურველია, პროგრამის მდგრადობის მიზნით, ეტაპობრივად გაიზარდოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- სასურველია, „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში ნათლად იყოს ფორმულირებული აქვს თუ არა უფლებამოსილება უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოიწვიოს (ღია კონკურსის გარეშე დააკონტრაქტოს) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე მიღების პროცედურის კიდევ უფრო გამჭირვალობას;
- სასურველია, უსდ-მ ეფექტიანად აამოქმედოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ სხვა უსდ-ში დატვირთვის მაჩვენებლების კონტროლი “კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის“ თანახმად;
- სასურველია ანტიპლაგიატის პლატფორმის Turnitin-ის გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი;
- სასურველია უსდ-მ გააძლიეროს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.

- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები მნიშვნელოვანია კვლევითი უნარების განვითარებისათვის და მისასალმებელი იქნება, თუკი უსდ ძალისხმევას გამოიჩენს, მეტად დააინტერესოს მაგისტრანტები და გაზარდოს ჩართულობა.

- სასურველია პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტების გაღრმავება პრაქტიკული დავალებებითა და აქტიობებით.

§ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

§ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**რეაკრედიტაციაზე მუშაობის პროცესში კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოსთან შესაბამისად პროგრამას შეეცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ყალიბდება შემდეგნაირად: საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი (ნაცვლად ფორმულირებისა: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საზოგადოებრივ ურთიერთობებში).**პროგრამაში შევიდა ცვლილებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გამართული შეხვედრების საფუძველზე. კონკრეტულად, გადაიხედა და საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნების კუთხით განახლდა, ზოგიერ საგანს შეეცვალა სტატუსი, ზოგიერთს კი დატვირთვის მიხედვით - ECTS კრედიტების წონა. კონკრეტულად, პროგრამაში განისაზღვრა სავალდებულო და არჩევითი დარგობრივი საგნებისაა და კვლევის მოდულები. პროგრამა სემესტრების მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგნაირად. ახალ, მოდიფიცირებულ და სტატუსშეცვლილ საგნებს ცხრილში თვითშეფასების ჯგუფისთვის აქვთ მინიშნებები:

**დარგობრივი სავალდებულო საგნების მოდულს: 56 ECTS**;

- კომუნიკაციის ფსიქოლოგია (ახალი საგანი)
- ციფრული კომუნიკაცია (ახალი საგანი)
- კრიზისული კომუნიკაციების მართვა (ახალი საგანი)
- ბრენდის შექმნა და მართვა (არჩევითიდან სავალდებულო)
- CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია (მოდიფიცრდა: ორგანიზაციულ კომუნიკაციას დაემატა CSR)
- სტრატეგიული კომუნიკაცია (ჩაანაცვლა საგანი საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგია და ტაქტიკა)
- მარკეტინგი
- მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა
- პროექტების მართვა

**დარგობრივი არჩევითი საგნების მოდულს: 23 ECTS;**

- ვიზუალური კომუნიკაცია (ახალი საგანი)
- მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია (ახალი საგანი)
- მედიასთან ურთიერთობა (ახალი საგანი)
- პოლიტიკური კომუნიკაცია (ჩაანაცვლა პიარ კამპანიების დაგეგმვა საარჩევნო პროცესში)

- რეკლამის თეორია და პრაქტიკა
- ინტერკულტურული კომუნიკაცია
- საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაცია
- ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა
- ბრენდის ჟურნალისტიკა
- საველე პრაქტიკა

**კვლევის მოდულს: 41 ECTS:**

- აკადემიური წერა
- კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (გაიზარდა წონა 30 ECTS კრედიტამდე)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოში შესაბამისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომელსაც აქვს ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სტრატეგიულ კომუნიკაციაში. მკაფიოდ არის მოცემული საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის დასაქმებაზე ორიენტირებული კომპეტენციები, როგორიცაა: "შეძლოს სტრატეგიული საკომუნიკაციო დოკუმენტის შემუშავება, აღსრულება და მონიტორინგი, ინტეგრირებული მარკეტინგის, მედიასთან ურთიერთობების, ციფრული მედიის, რეკლამისა და მენეჯმენტის ცოდნის საფუძველზე." ამავდროულად, პროგრამა მიზნად ისახავს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით მენეჯერული უნარების გამომუშავებას და რაც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, პროგრამა უზრუნველყოფს სამაგისტრო საფეხურის შესატყვისი კვლევითი უნარების გამომუშავებას.

პროგრამა ფართო და კომპლექსური სპექტრით ახდენს საგანთა შეთავაზებას, პროგრამაში წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი, დარგის უახლეს ტენდენციებზე ორიენტირებული კურსები, როგორიცაა ციფრული კომუნიკაცია, ვიზუალური კომუნიკაცია, ფსიქოლოგიის კომპონენტი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამას, შეესაბამება შრომის ბაზრის გამოწვევებსა და ტენდენციებს და შესაბამისად, წვლილი შეაქვს დარგში მაღალპროფესიონალური სპეციალისტების მომზადებაში.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აკადემიური პერსონალი, რაც დასტურდება წარმოდგენილი კვლევებითა და გასაუბრებებით.

პროგრამა სრულ თავსებადობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, პროგრამას დასახული მიზნებითა და აქტივობებით წვლილი შეაქვს კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა

| |
|---|
| და სწავლის დანერგვაში, ადგილობრივ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში.<br>პროგრამის მიზნები ნათლად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული, მათი მიღწევის გზები მკაფიოდაა დასახული. მიზნები მიღწევადია და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების განაცხადი<br>• უნივერსიტეტის მისია<br>• საგანმანათლებლო პროგრამა<br>• სილაბუსები<br>• უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესორებთან და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები<br>• შრომის ბაზრის ანალიზი |
| **რეკომენდაციები:**<br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

Ø პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

Ø პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

Ø შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგი კომპეტენციების გამომუშავებას კურსდამთავრებულთათვის:

- კურსდამთავრებული იყენებს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, აცნობიერებს სფეროში არსებულ გამოწვევებს, სწრაფად იაზრებს და იყენებს ნოვაციებს.

- კურსდამთავრებული გამოიმუშავებს კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო ყველა კომპეტენციას, მათ შორის: მაღალ დონეზე, აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით, ქმნის საჭირო დოკუმენტებსა და ვერბალურ თუ ვიზუალურ პრეზენტაციებს.

- კურსდამთავრებული მაღალი პროფესიული სტანდარტით გეგმავს, აღასრულებს და აფასებს პიარ კამპანიებს. ამისთვის ის კომპლექსურად და სიღრმისეულად აანალიზებს კომუნიკაციის სფეროს მახასიათებლებს. მედიასთან ურთიერთობის, მარკეტინგის, ციფრული მედიისა და რეკლამის სფეროების ცოდნასა და საჭირო პრაქტიკულ უნარებს იყენებს სხვადასხვა სექტორისთვის: პოლიტიკისთვის, ბიზნესისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

- კურსდამთავრებულს უყალიბდება სფეროში მომუშავე მენეჯერისთვის საჭირო უნარები, მათ შორის: უძღვება და მართავს პროექტებს; სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, ითვალისწინებს და შეიმუშავებს ნოვატორულ, ორიგინალურ და კრეატიულ იდეებს.

- კურსდამთავრებული გეგმავს და ახორციელებს აკადემიურ კვლევას - აწარმოებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევას და ამ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში;

ასევე, აანალიზებს სხვისი კვლევის შედეგებს და იყენებს მათ სტრატეგიულ საკომუნიკაციო დოკუმენტზე მუშაობისას.

- კურსდამთავრებული აანალიზებს, იზიარებს და იცავს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროსა და პროფესიაში არსებულ ღირებულებებსა და ნორმებს; თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციას, საკუთარი წვლილი შეაქვს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

კომპეტენციების ჩამოყალიბებაში ჩართული იყვნენ პროგრამის აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევას და გამოკვეთილი საჭიროებების ასახვას პროგრამაში.

პროგრამის ეფექტიანობა დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუს პერიოდშიც, როგორც მათ აღნიშნეს, როგორც სტაჟირებაზე მისული, ისე გასაუბრების შედეგად აყვანილი სტუდენტების/კურსდამთავრებულების მომზადების დონე და რეალური სამუშაო გარემოსთვის საჭირო უნარები აბსოლუტურად აკმაყოფილებს მათი, როგორც დამსაქმებლების მოთხოვნებს. პროგრამის წარმატებაზე მეტყველებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ასევე, ინტერვიუების დროს მათგან მიღებული უკუკავშირი.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც  სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი,  ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს,  რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას ახორციელებენ რეცენზენტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დადასტურდა პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა და სილაბუსები
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- შრომის ბაზრის ანალიზი
- ბენჩმარკინგი
- სწავლის შედეგების რუკა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მიღების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში, რაც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას ემსახურება. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერ სწავლის სფეროში, საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება, ინგლისური ენის B-2 დონეზე ფლობა და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br><br>პროგრამის კურიკულუმსა და თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ინგლისური ენის ცოდნის დასამტკიცებლად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი. ინგლისური ენის სათანადო დონეზე ფლობა |

მნიშვნელოვანია პროგრამით გასაზღვრული შედეგების მისაღწევად, ვინაიდან სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია. ზემოთხსენებული დოკუმენტები არ განსაზღვრავს, როგორ ამოწმებს მიმღები კომისია ინგლისური ენის ცოდნას. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ წარმოადგენს სერტიფიკატს. თუმცა, ამასთანავე, ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ამ შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო ტესტი ინგლისურ ენაში. ეს ინფორმაცია, აგრეთვე, მითითებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აქვე მოცემულია უცხო ენაში ჩასაბარებელი გამოცდის ნიმუში.

თუმცა ვინაიდან პროგრამას თან არ ახლავს მიღების დოკუმენტი, რომელიც ვერც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იქნა მოძიებული, არსად არ არის ჩამოყალიბებული შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები და ის ცოდნა, რომელიც ამ გასაუბრებებით მოწმდება. ამათანავე, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ ეს კრიტერიუმები გამოცდამდე თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დეტალურადაა მოცემული, აუცილებელია კურიკულუმშიც ან/და მიღების დოკუმენტშიც მიღების პროცედურების მკაფიო აღწერა. ეს მნიშვნელოვანია მიღების პროცედურების გამჭვირვალობისა და პროგრამაზე დაშვების პირობების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უკეთ უზრუნველსაყოფად აგრეთვე, იმისთვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატებმა კარგად გაიაზრონ პროგრამის მოთხოვნები და გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი.

პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ, ასვე დაინტერესებულ პირთათვის სასურველი ინფორმაცია, გარდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა, ხელმისაწვდომია სოციალური და ბეჭდური მედიის, ასევე სპეციალური მობილური აპლიკაციებისა და უნივერსიტეტში მოქმედი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი
- გასაუბრება სტუდენტებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამაში ან ცალკე დოკუმენტის სახით გაიწეროს უფრო დეტალურად მიღების კრიტერიუმები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა ითვალისწინებს პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების წესებსა და რეგულაციებს, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს. პროგრამა 2012 წლიდან ხორციელდება და მუდმივ განახლებასა და სახეცვლილებას განიცდის, დარგის აქტუალურობისა და ახალი ტენდენციების გათვალიწინებით. ვიზიტისას დადგინდა, რომ პროფესორ-მასწავლებლები, მოწვეული პესონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის განვითარების პროცესში. სტუდენტებში ტარდება პერიოდული გამოკითხვები კმაყოფილების შესასწავლად. აგრეთვე, მათ აქვთ შესაძლებლობა პროგრამის გაუმჯობესებისათვის თავიანთი აზრი გამოთქვან. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ისინი მუდმივად უწევდნენ კონსულტაციას უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით, როგორც დარგის მიღწევების შესახებ, ასევე იმ კონკრეტული უნარების განსაზღვრაში, რომელიც შრომის ბაზრისათვის პრიორიტეტულია.<br><br>პროგრამას, აგრეთვე, თან ერთვის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორცილებისა და განვითარების წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროგრამის განვითარებისათვის, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების, ოპტიმიზაციის ან/და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შესაბამისი სკოლა ახდენს პროგრამული ცვლილებების ინიცირებას ელექტრონული ფორმით, რასაც შემდგომ განიხილავენ უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირები. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მისი სტრუქტურა მოქნილია და ლოგიკურად, თანმიმდევრულადაა აგებული. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც მოიცავს დარგობრივი სავალდებულო მოდულის 56 კრედიტს, არჩევითი მოდულის 23 |

კრედიტსა და კვლევის მოდულის 41 კრედიტს. პროგრამაში გვხვდება საგნები, რომელთა გავლა შესაძლებელია მხოლოდ დადგენილი წინაპირობის შესრულების შემდეგ, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულობასა და ადეკვატურობას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამიება პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამაში შემავალი კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ამასთანავე, ცაკეული კურსებისათვის გათვალისწინებული კრედიტები სრულიად ადეკვატურია კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად და იმ უნარ-ჩვევების განსავითარებლად, რაც კურსებს დაგეგმილი აქვს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსების სილაბუსები
- სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
- პროგრამების დაგეგმვისა და განვითრების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

Ø ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

Ø სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა ამასთანავე გვხვდება რამდენიმე ისეთი კურსიც (მაგ. კომუნიკაციის ფსიქოლოგია), რომელთა სწავლის შედეგები და შინაარსი არ უზრუნველყოფს მაგისტრატურის შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარებას. აქ მოყვანილი სწავლის შედეგები რამდენიმე ერთეულ შემთხვევაში ძალიან ზოგად ხასიათს ატარებს. მაგალითად, "სტუდენტი აცნობიერებს კომუნიკაციის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს“, ან „ახდენს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას“. სამაგისტრო საფეხურის სწავლებაზე კურსების სწავლის შედეგები გაცილებით უფრო კონკრეტული უნდა იყოს და რაც მთავარია - მიმართული ღრმა და სისტემური ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობებსა და კვლევითი უნარ-ჩვევების დახვეწაზე.

პროგრამა უმეტესწილად ეყრდნობა დარგის უახლეს მიღწევებს. მისასალმებელია, რომ კურსების პედაგოგები ხშირ შემთხვევაში დარგის პრაქტიკოსები არიან, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების კუთხითაც. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ლიტერატურა, თუმცა, ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ არის ასახული სილაბუსებში: სილაბუსების ნაწილში სავალდებული ლიტერატურა მხოლოდ ერთი წიგნით შემოიფარგლება (მაგ. ბრენდის შექმნა და მართვა, ინტერკულტურული კომუნიკაცია, კრიზისული კომუნიკაციის მართვა და სხვ.), რაც სამაგისტრო დონისათვის არასაკმარისია. ამდენად, მიზანშეწონილია, სილაბუსებში სრულად იქნეს ასახული ის ლიტერატურა, რასაც სასწავლო კურსების განმახორციელებლები იყენებენ სწავლების პროცესში.

სილაბუსებში, აგრეთვე, გასამართია, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. არც ერთი სილაბუსი არ განსაზღვრავს შუალედური შეფასების მინიმალურ ზღვარს და არ განმარტავს, სავალდებულოა თუ არა ფინალურ გამოცდაზე გასვლა. ხშირ შემთხვევაში

სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები მოცემულია, როგორც „დავალება შესრულდა დამაკმაყოფილებად / მინიმალური / უმეტესი / ყველა სტანდარტის დაცვით“, თუმცა არსად არ განისაზღვრება ამ სტანდარტების რაობა.

საინტერესოა, რომ სილაბუსების აბსოლუტური უმრავლესობა არ ავალდებულებს სტუდენტს გაეცნოს სამეცნიერო სტატიებს, რაც საკმაოდ უცნაურია ასეთი „ახალგაზრდა“ დარგის სწავლებისას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს მათ ვერ გაიხსენეს ვერც ერთი შემთხვევა, როდესაც მათ დასჭირდათ უნივერსიტეტის ელ. ბიბლიოთეკაში არსებული ონლაინ რესურსებითა და ბაზებით სარგებლობა. შესაბამისად, ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო, რათა ერთის მხრივ, სილაბუსებმა დეტალურად ასახოს სასწავლო პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამა გამდიდრდეს უახლესი ლიტერატურითა და სამეცნიერო სტატიებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია, სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები
- აუცილებელია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და გამდიდრდეს დარგში არსებული უახლესი, სამაგისტრო დონის ადექვატური ლიტერატურით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სამეცნიერო-კვლევით მოდულს 41 კრედიტი ეთმობა და მოიცავს აკადემიურ წერას, კვლევის მეთოდებსა და სადიპლომო ნაშრომს. კვლევითი კომპონენტი ადეკვატურადაა განაწილებული პროგრამაში და უზრუნველყოფს იმ უნარების გამომუშავებას, რომელიც სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად სჭირდებათ.

პროგრამა სტუდენტებს, აგრეთვე, სთავაზობს საველე პრაქტიკას სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომელიც არჩევით საგანთა ნუსხაშია.

საველე პრაქტიკის არჩევითობა, როგორც ინტერვიუებისას გაირკვა, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, სამაგიტრო პროგრამის სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას მათ ვერ გაიხსენეს ვერც ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მაგისტრანტმა საველე პრაქტიკის კურსი აირჩია. აქედან გამომდინარე, საველე პრაქტიკა დიდწილად ფორმალობად რჩება. მისასალმებელი იქნება, თუ უსდ მეტ ყუდარღებას დაუთმობს სტუდენტების საველე პრაქტიკით დაინტერესებას, რაც მნიშვნელოვანი იქნება მათი სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვისა და მომზადებისთვისაც.

თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ კავკასიის უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციას, რათა საშუალება მისცეს როგორც ბაკალავრებს, ისე მაგისტრანტებს გააღრმავონ კვლევითი და სამეცნიერო უნარ-ჩვევები. კონფერენციებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, სტუდენტებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ მათ მსგავს სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ამასთანავე, სტუდენტები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის დროულად აწვდიდა ინფორმაციას კონფერენციის ჩატარების თაობაზე. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები მნიშვნელოვანია კვლევითი უნარების განვითარებისათვის და მისასალმებელი იქნება, თუკი უსდ ძალისხმევას გამოიჩენს, მეტად დააინტერესოს მაგისტრანტები და გაზარდოს ჩართულობა.

სპეციალისტებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას სასწავლო კურსები უზრუნველყოფს, რომელნიც, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკულ კომპონენტებსაც მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ მათ კურსებში პრაქტიკული ნაწილის გაზრდა სურთ. აღნიშნული თანხვედრაშია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებასთანაც. სასურველია, პროგრამაში შემავალი კურსები,მათ შორის CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია, ბრენდის შექმნა და მართვა, მედიასთან ურთიერთობა, გაღრმავდეს როგორც პრაქტიკული მაგალითების შესწავლით, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოებით. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მნიშვნელოვანია, აგრეთვე კურსით „საველე პრაქტიკა“ სტუდენტების უკეთ დაინტერესება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი
- პრაქტიკის დოკუმენტი
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები
- ინტერვიუების პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია კურსებში გაიზარდოს პრაქტიკის წილი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა იყენებს სტუდენტებზე ორიენტირებულ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვან მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ სასწავლო პროცესს. სწავლების მეთოდები კომპლიმენტარულია და ემსახურება სწავლის

შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური და წერითი მეთოდები, დისკუსია/დებატები, როლური თამაშები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების ანალიზის მეთოდი და სხვ.

სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებთან. მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული კურსისთვის, რაც მისასალმებელია. ერთი კურსი, როგორც წესი, იყენებს სწავლის რამდენიმე მეთოდს და მორგებულია ამა თუ იმ საგნის სპეციფიკაზე. სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და დებატებში და ამ გზით, არა მხოლოდ კვლევითი უნარების, არამედ კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და ღრმა ცოდნის შეძენას მაგისტრანტში.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ონლაინ რადიო CSM, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს პროგრამაში დამატებული ახალი სასწავლო კურსების ( ვიზუალური კომუნიკაცია, მონაცემთა ანალიზი) ფარგლებში განივითარონ პროფესიისათვის აუცილებელი უნარები, იმუშაონ კამერასთან, იმუშაონ სხვადასხვა მედია პროექტებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სილაბუსებში ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები იმგვარადაა აღწერილი, რომ სტუდენტს შეუძლია მოახდინოს იდენტიფიცირება და შეექმნას წარმოდგენა თითოეული შეფასების ფორმა რა კრიტერიუმითა და კომპონენტებით ფასდება.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი განსაზღვრულია „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“ დებულებაში, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად 100-ქულიანი სისტემით: A საუკეთესო (91-100); B

ძალიან კარგი (81-90), C კარგი (71 -80), D მისაღები/დამაკმაყოფილებელი (61 – 70), E საკმარისი (60).

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისიის წევრების შეფასების საშუალო არითმეტიკულით. სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 60 ქულას (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).

სამაგისტრო ნაშრომში 41-59 ქულის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგინოს მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომში “F”-ის მიღების შემთხვევაში (0-40 ქულა), მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. “F”-ით შეფასებული სამაგისტრო ნაშრომის ერთი პირი შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს. “F”-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს ახალი სემესტრიდან ხელმეორედ დარეგისტრირდეს სამაგისტრო ნაშრომზე და წარმოადგინოს ახალი სამაგისტრო თემა.

უსდ-ში მოქმედებს დებულება „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“, სადაც გამოცდაზე გასვლის წესების გარდა, აღწერილია შუალედური/დასკვნითი გამოცდის გასაჩივრების წესი. შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო დავალების შეფასება და მოითხოვოს გასწორებული ნამუშევრის გაცნობა. სტუდენტი საგამოცდო დავალების გასაჩივრების შემთხვევაში წერს განცხადებას ვიცე-პრეზიდენტის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის დარგში სახელზე და დასაბუთებულად აღწერს რა ნაწილში არ ეთანხმება ლექტორის შეფასებას. სტუდენტის განცხადება და საგამოცდო დავალება გადაეცემა ლექტორს და საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ლექტორი მოხსენებით ბარათში (დანართი 3) უარყოფს ან ადასტურებს დასაბუთებით სტუდენტის პრეტენზიის დაკმაყოფილებას და საბოლოო ნიშნის ცვლილებას. პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ოფიციალურად მიმართოს დეკანატს, რის შემდეგაც დეკანი ქმნის კომისიას გასაჩივრებული ნაშრომის შესაფასებლად.~

ამავე დებულებაშია დეტალურადაა მოცემული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რაც მოიცავს ნაშრომის მოცულობას, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას, ნაშრომის სტრუქტურის გამართულობა, ლიტერატურის მიმოხილვა და ა.შ. თითოეულ კრიტერიუმში ჩაშლილია შეფასების მაჩვენებლები და აღწერა.

„სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“დებულების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის გასაჩივრების წესი და პროცედურაც რეგულირდება „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“ დებულების მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება ხდება ,,ტურნიტინის“ მეშვეობით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, სტუდენტი ვალდებულია ატვირთოს ნამუშევარი „ტურნიტინში“, სადაც თეზისს პლაგიატზე ამოწმებს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი. შესაძლო პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ხელმძღვანელი წარუდგენს მაგისტრანტს შესაბამის რეკომენდაციებს.

ზემოთ აღწერილი წესების (შეფასების გასაჩივრება, პლაგიატი და ა.შ) შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება ელ.ფოსტის მეშვეობით. აგრეთვე, მოცემული დებულებები ატვირთულია ვებ-გვერდზე და სტუდენტებს უტარდებათ კონსულტაციები, როემლიც აგრეთვე მოიცავს ამ წესების გაცნობას. სილაბუსებს, შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს სტუდენტები ეცნობიან უნივერსიტეტის პორტალის „MY CU” მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- „გამოცდის ჩატარების წესის შესახებ” დებულება;
- „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“ დებულება;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o  პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o  მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|---|
| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები მათთვის საინტერესო ინფორმაციას ეცნობიან უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და კორპორატიულ ელ.ფოსტაზე მისული შეტყობინებების საშუალებით.<br><br>უსდ-ში მოქმედებს პორტალი „MY CU", სადაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგანი, ნახოს არჩეული საგნების სია, მიღებული შეფასება და ა.შ. ასევე, უსდ სარგებლობს MOODLE პლატფორმით. |

უსდ-ში მოქმედებს დებულება „სტუდენტის სტატუსის შესახებ“, სადაც აღწერილია სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობანი, აკადემიური მოთხოვნები და ა.შ.

სტუდენტებთან შეხვედრები და მათთვის სასწავლო პროცესის, სილაბუსების გაცნობა ხდება სემესტრულად. სტუდენტების გამოკითხვებიც ტარდება სემესტრულად, ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტებს ელექტრონულად ეგზავნებათ გამოკითხვის ფორმა, სადაც სტუდენტები თავიანთ შეფასებას აფიქსირებენ.

უსდ-ს სტუდენტთა სტაჟირებებისთვის და დასაქმებისთვის გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან. დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად ახორციელებენ სტუდენტთა სტაჟირებას თავიანთ დაწესებულებებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულებებისთვის არ არის განსაზღვრული შესაძლო სტაჟიორთა მიღების რაოდენობა. რიგ შემთხვევაში, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სამსახურის გამო უნივერსიტეტისგან შეთავაზებულ სტაჟირებაზე უარს ამბობენ. სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უფრო მეტი სტუდენტი დაინტერესდება სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამისთვის განკუთვნილი სტაჟირების გავლით.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, უსდ-ში მოქმედებს გაცვლითი პროგრამები. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, როგორც ბილატერალური, ასევე, Erasmus+-ის ფარგლებში არსებული შესაძლებლობებისა და მათი გამოყენების წესის შესახებ. მედიის სკოლის, მათ შორის, სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის უფლება შეუძლიათ სხვადასხვა უნივერსიტეტთან, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი დიდ ინტერესს არ გამოხატავენ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, რის მიზეზად, ამჯერადაც სამსახურს ასახელებენ. ამდენად, მიზანშეწონილია, უსდ-მ მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია და სტუდენტთა დაინტერესება, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით. ამავე მიმართულებით აღსანიშნავია, რომ არ გამოიკვეთა არამხოლოდ გაცვლითი პროგრამებით დაინტერესება, არამედ სხვა საერთაშორისო დონეზე აქტივობებით დაკავების სურვილი, თუნდაც რომელიმე საერთაშორისო პროექტში, კვლევაში, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ სასურველია, უსდ-მ სტუდენტებს შესთავაზოს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, კვლევასა თუ

კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა და შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობებში მათ ჩასართავად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- სტაჟირების განმახორციელებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უფრო მეტი სტუდენტი დაინტერესდება სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამისთვის განკუთვნილი სტაჟირების გავლით.
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, უსდ-მ მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, სტუდენტებს შესთავაზოს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, კვლევასა თუ კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა და შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობებში მათ ჩასართავად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ში მოქმედებს „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“ დებულება, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი – პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, როგორც მედიის სკოლიდან, ასევე, უნივერსიტეტის სხვა სკოლებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული ლექტორი სხვა უნივერსიტეტიდან ან სხვა დაწესებულებიდან. ამასთან, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს თემის შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული კვლევები ბოლო 5 წლის განმავლობაში.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის რეგისტრაციის პროცესში, სტუდენტს შეუძლია, პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის გზით, აირჩიოს საკუთარი ხელმძღვანელი.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს კვლევის მიზნის ჩამოყალიბებაში, საკვლევი საკითხის ფოკუსისა და მისი საკვლევი შეკითხვების განსაზღვრაში, კვლევის დიზაინის შედგენასა და შესაფერისი აკადემიური ლიტერატურის შერჩევაში. დებულების მიხედვით, ხელმძღვანელი ეტაპობრივად უნდა ამოწმებდეს მუშაობის პროცესს, გამოთქვამდეს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, მაგისტრანტს უთითებდეს მასში საჭირო კორექტივების შეტანის აუცილებლობაზე.

დებულებაში აღწერილია ხელმძღვანელის როლი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესში. მასში აღწერილი მოვალეობების მიხედვით ჩანს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ყოველ ეტაპზე ჩართულია სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში. სტუდენტის მიერ საბოლოო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე, ხდება კომისიის შემადგენლობის ფორმირება. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომის დებულების მიხედვით, ნაშრომების შეფასებები ადეკვატურია შესრულებულია ნაშრომის შინაარსისა.

უნივერსიტეტს არ აქვს დადგენილი შესაბამისი დებულებით ერთ პირს მაქსიმუმ რამდენი მაგისტრანტის კვლევით კომპონენტის ხელმძღვანელობის უფლება აქვს ერთდროულად. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ამ პირობის განსაზღვრაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ“ დებულება;

o გასაუბრება ადმინისიტრაციასთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, განისაზღვროს მაგისტრანტთა კვლევითი კომპონენტის მაქსიმალური რიცხვი, რომლის ხელმძღვანელობაც ერთდროულად შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში | ნაწილობრივ შესაბამისობაში | არ არის შესაბამისობაშიo |
|---|---|---|---|---|

| | | ა<br>მოთხოვნებთან | ა<br>მოთხოვნებთან | მოთხოვნებთა<br>ნ |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| Ø პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br><br>Ø პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br><br>Ø პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br><br>Ø პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

უსდ-ს სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი შედგება 22 პირისგან (მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალი), რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება. პროგრამას ახორციელებს სულ 8, მათ შორის 6 აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი: 3 აფილირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 მოწვეული ლექტორი. შესაბამისად, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 8/14, რომელიც აჭარბებს უსდ-ს მიერ შემუშავებულ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ასახულ სამიზნე ზღვრულ ნიშნულს - 1/20-ზე. შედეგად, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის 56 კრედიტს ახორციელებს უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ, 12 კრედიტს - 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ხოლო 44 კრედიტს - მოწვეული, მათ შორის 1 ასოცირებული პროფესორი. შესაბამისად, დარგში არსებული სპეციფიკის მიუხედავად, სასურველია პროგრამის მდგრადობის მიზნით ეტაპობრივად გაიზარდოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

უსდ-ში აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევა ხდება „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ თანახმად. კანდიდატების მოზიდვა ძირითადად ხდება შესაბამის ვებ-პორტალებზე ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გზით, ხოლო შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ თანახმად, ნათლად არ არის ფორმულირებული, აქვს თუ არა უფლებამოსილება უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, მოიწვიოს (ღია კონკურსის გარეშე დააკონტრაქტოს) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

„პერსონალის მართვის პოლიტიკის“ თანახმად, კანდიდატების შერჩევის პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს გამოცხადებული ვაკანსიის სპეციფიკიდან და საკონკურსო

ეტაპებიდან გამომდინარე. თითოეულ გამოცხადებულ ვაკანსიაზე, კანდიდატის შერჩევის პროცესი, როგორც ადმინისტრაციულ, ისე აკადემიურ თანამდებობებზე შესაძლოა მოიცავდეს 3 ეტაპს: პირველადი გადარჩევა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წერითი ტესტირება/პრეზენტაცია/გასაუბრება/პრაქტიკული დავალება ან სხვა და კონკურსის შეჯამება. უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციის დასაკავებლად განკუთვნილი შეფასების ფორმები. აკადემიური პერსონალის გასაუბრების ჩატარების ფორმის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის, პრაქტიკული გამოცდილების, სწავლების გამოცდილების და პიროვნული თვისებების შეფასებას. ახალ თანამშრომლებისთვის, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული ლექტორებისთვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უსდ-ს შემუშავებული აქვს საორიენტაციო პროგრამა.

უსდ-ს დამტკიცებული აქვს „კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესი“, რომელიც არეგულირებს უსდ-ს პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, საათობრივ დატვირთვის განაწილების წესს და მათი დატვირთვის სქემას. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის დროს, უსდ ითვალისწინებდეს მის სალექციო საათობრივ დატვირთვას ყველა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თანამშრომლის ზღვრული სალექციო საათობრივი დატვირთვა ყველა უსდ-ში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 30 საათს. თუმცა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პერსონალის დატვირთვის სქემის დოკუმენტში არ იყო ასახული სხვა უსდ-ში მათი დატვირთვის მაჩვენებლები. სასურველია ეფექტიანად ამოქმედდეს უსდ-ს მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტში უკვე ასახული წესი.

დამატებით, უსდ-ს არეგულირებს ერთი აკადემიური პერსონალის მხრიდან პროგრამის ხელმძღვანელობას, ორზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა არ არის მიღებული. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიურების პროცესში. შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ერთი აკადემიური პერსონალი დაინიშნება ორი საგანმანათლებლო

პროგრამის ხელმძღვანელად, მისი საათობრივი დატვირთვა ამ საქმიანობისთვის განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი საათობრივი დატვირთვის ნამრავლით 1.3. კოეფიციენტზე. უსდ-ს შემუშავებული აქვს კვლევითი, აკადემიური და საკონსულტაციო/ადმინისტრაციული აქტივობების ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო საათობრივი დატვირთვა.

უსდ-ს კავკასიის მედიის სკოლის დებულებაში დეტალურად არის აღწერილი პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის, შეფასების, კომპეტენციის დადასტურების მექანიზმები. თანამდებობრივი ინსტრუქციაში მოცემულია მისი ძირითადი უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები. უსდ-ს სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელების, შეფასების და განვითარების პროცესში.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის და გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და მათი სამუშაო დატვირთვა უზურნველყოფს სტრატეგიული კომუნიკაციების საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. მათგან მიღებულ სერვისს და დროულ უკუკავშირს პოზიტიურად აფასებენ არსებული სტუნდენტები და კურსდამთავრებულები, მოწვეული ლექტორები და აკადემიური პერსონალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, CV-ები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი;
- პროგრამის ხელმძღვანელების და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები;

- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო  და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესი (2020 წ, 20 ოქტომბერი);
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის ფურცელი (მოწოდებული ვიზიტის დროს);
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადამიანური რესურსების განყოფილების ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ  და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

*რჩევები პროგრამის განვითარებისთვის*

- დარგში არსებული სპეციფიკის მიუხედავად, სასურველია, პროგრამის მდგრადობის მიზნით, ეტაპობრივად გაიზარდოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- სასურველია, „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში ნათლად იყოს ფორმულირებული აქვს თუ არა უფლებამოსილება უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოიწვიოს (ღია კონკურსის გარეშე დააკონტრაქტოს) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე მიღების პროცედურის კიდევ უფრო გამჭირვალობას.
- სასურველია, უსდ-მ ეფექტიანად აამოქმედოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ სხვა უსდ-ში დატვირთვის მაჩვენებლების კონტროლი “კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის“  თანახმად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

Ø  დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და  შედეგების ანალიზს;

Ø  უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის მართვა, შეფასება და განვითარების მექანიზმები ასახულია „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში.  პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და ადმინისტრაციული/დამხმარე თანამშრომლების პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების, პროფესიული განვითარების, საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს და მაჩვენებლებს,  ასევე, აკადემიური პერსონალის აფილირების და მათი დატვირთვის წესის განსაზღვრას. დამატებით, უსდ „კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის“ თანახმად, განსაზღვრავს სახელშეკრულებო პირობებს და სახელფასო პოლიტიკას. აფილირებული და არააფილირებული აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული ლექტორების უფლება-მოვალეობები, მათი საათობრივი დატვირთვა პერსონალსა და უსდ-ს შორის დადებული სახელშეკრულებო ტიპის თანახმად ხორციელდება.

უსდ ყოველსემესტრულად, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ახორციელებს სტუდენტების მხრიდან აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასებას ელექტრონული გამოკითხვის ფორმით. კვლევის შედეგები განიხილება  უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტში და მიეწოდება სკოლის დეკანს შემდგომი რეაგირებისთვის. გარდა ამისა, უსდ-ს მიერ ყოველი წლის დასაწყისში იგეგმება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიული მიზნების განსაზღვრა და ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროფესიული მიზნები განისაზღვრება სამი ძირითადი მიმართულებით: სწავლება, კვლევა და

ადმინისტრაციული საქმიანობა. კვლევითი (ფუნდამენტური, გამოყენებითი, პედაგოგიური), აკადემიური, ადმინისტრაციული და საკონსულტაციო აქტივობები. ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო საათობრივი დატვირთვა ფორმულირებულია შესაბამის დანართში. პროფესიული განვითარების საჭიროებების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს უსდ-ს პერსონალი. პერსონალის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია, რომ სასურველია აკადემიური პერსონალის საქმიანობა შეფასდეს აკადემიური წლის ბოლოს სკოლის ხელმძღვანელობისა და ხარისხის დეპარტამენტის მიერ შექმნილი შეფასების ჯგუფის მიერ. პოზიტიური დასკვნის წარდგენის შემთხვევაში შესაძლებელია უსდ-მ მიიღოს გადაწყვეტილება პროფესორ-მასწავლებლების დაწინაურების, შრომის ანაზღაურების გაზრდის ან სხვა წამახალისებელი ჯილდოს გადაცემის თაობაზე. ხოლო, არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში, უსდ ამუშავებს პროფესიული საქმიანობის განვითარების ინდივიდუალურ განვითარების გეგმას. აკადემიური პერსონალის შეფასების ინდიკატორებია, ასევე, აკადემიური პერსონალის თვითშეფასება, წლიური ანგარიშის შეფასების შედეგები, უსდ-სა და სკოლის ხელმძღვანელების შეხედულებები და შეფასებები, შეფასების პერიოდის განმავლობაში მიღებული წოდებები და ჯილდოები, ასევე, პროფესიულ ორგანიზაციებში საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ა.შ.

უსდ-ში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით შექმნილია კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც ჩართულია კვლევითი საქმიანობის წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. აღნიშნული დეპარტამენტი თანამშრომლობს ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან, პარტნიორ უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან ერთობლივი კვლევითი პროექტების ინიცირების მიზნით და ორიენტირებულია მაქსიმალურად მეტი აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი და მაგისტრანტი ჩართოს კვლევით პროექტებში. უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 2019 წლის იანვრიდან უსდ მონაწილეობს Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD“. პროექტის შედეგად, უსდ-სთვის შეიქმნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პერსონალის

მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებას. ამას გარდა, კავკასიის მედიის სკოლაში მიმდინარე წელს დაფუძნდა მედიის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც მონაწილეობას იღებს კვლევით კონკურსებში და დაკავებულია კონკრეტული პროექტების აღსრულებით. პერსონალის პროფესიული და პერსონალური უნარების განვითარების მექანიზმებად უსდ ერთ-ერთ შესაძლებლობად სთავაზობს წელიწადში 2-ჯერ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის განაცხადის შეტანას. მედიის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული განვითარების და კვლევის მიმართულებებისთვის გამოყოფილი დაფინანსებით. უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის თანახმად, ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად. საკონკურსო კომისია ერთვება დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესში. უსდ-ს მხრიდან კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი ცენტრის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ფორმირება მყარ საფუძველს უქმნის უსდ-ში კვლევითი საქმიანობის განვითარებას.

წახალისების დამატებით მექანიზმებად განიხილება: ანაზღაურებადი აკადემიური შვებულება, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და ერთობლივ კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით პროფესიული განვითარების პროგრამები, ასევე, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობის გადახედვა მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით. უსდ-ში ქმედითად ინერგება თანამშრომლების მატერიალური და არამატერიული მოტივაციის მექანიზმები.

უსდ-ს მაღალი მაჩვენებელი აქვს საუნივერსიტეტო დონეზე საერთაშორისო მასშტაბით მივლინებული თანამშრომელის რაოდენობის მხრივ, თუმცა სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამის ფარგლებში მხოლოდ სკოლის დეკანის მობილობა განხორციელდა. კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედებს ტრენინგ ცენტრი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი ახდენს თანამშრომელთა დატრენინგებას საქმიანობის შესაბამისი მიმართულებით, საჭიროების შესაბამისად. უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 2019 წლიდან იგეგმება საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები უსდ-ს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის,

რომელიც მიზნად ისახავს კვლევისთვის საგრანტო დაფინანსების მოპოვებისა და კვლევის შედეგების გავრცელების ფორმალური მხარის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდებას.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების და უსდ-ს მიერ ვიზიტის დროს პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების, პუბლიკაციების, საერთაშორისო კონფერენციებში და პერსონალის მობილობაში მონაწილეობის, ასევე, სხვა სამეცნიერო მიღწევების შესახებ მოწოდებული დამატებითი ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ უსდ საჭიროებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებას. აღსანიშნავია ის, რომ მათ ძირითად ნაწილს აქვს დარგში პრაქტიკული გამოცდილება და სასწავლო კურსის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება.

ანგარიშგასაწევია დარგის სპეციფიკა და ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელოვნება, თუმცა რეკომენდირებულია უსდ-მ ეფექტიანად და დროულად აამოქმედოს აკადემიური პერსონალის შეფასების და განვითარების მექანიზმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მაქსიმალურად წახალისების და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. თანამშრომლის უშუალო მონაწილეობით შემუშავებული ინდივიდუალური განვითარების გეგმა და მისი დაკავშირება მოტივაციის სქემასთან, უზრუნველყოფს აკადემირი/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ქმედით ხელშეწყობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის განვითარების პოლიტიკა, 2020 წ;
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის დამტკიცების შესახებ, 2020 წ;
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, 2020 წ;

- კვლევითი, აკადემიური და საკონსულტაციო/ადმინისტრაციული აქტივობების ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო საათობრივი დატვირთვა (მოწოდებული უსდ-ში ვიზიტის დროს);
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- პერსონალის განვითარების ღონისძიებები;
- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, CV-ები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია უსდ-მ დროულად და ეფექტიანად აამოქმედოს უსდ-ს მიერ შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც უზურნველყოფს მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას და პერსონალის უწყვეტ განვითარებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

უსდ-ს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ონლაინ ინტერვიუების და უსდ-ს მიერ მოწოდებული დისტანციური დათვალიერების ვიდეო, ფოტო-მასალის მოწოდების შედეგად დასტურდება, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით (სალექციო მეცადინეობისთვის გამოყოფილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიებით, სასწავლო ინვენტარით, ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით, ხანძარსაწინააღმდეგო, გათბობისა და კონდიცირების სისტემით), რაც იძლევა საშუალებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კავკასიის უნივერსიტეტის ტერიტორია ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). სტუდენტებისთვის გამოყოფილია მათზე გათვლილი

თანამედროვე და კომფორტული სამუშაო სივრცეები. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად უსდ-ს ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები.

უსდ ახორციელებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურულ საკითხებზე უკუკავშირის გაზიარებასაც. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ უსდ-ს ინფრასტრუქტურით და სასწავლო აუდიტორიებში არსებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით  და სასწავლო ინტერვალით კმაყოფილება მაღალია.

უსდ-ში მუშაობს ბიბლიოთეკა, რომელიც  აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით. პერსონალსა და სტუდენტებს წვდომა აქვთ შემდეგ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან: EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus, Sci-val Funding, HeinOnline, Taylor and Francis, Math Scientific Publishing (MSP)-Journals. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა. დამატებით, უსდ-ს ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი Koha. უსდ ცდილობს ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებული იყოს უსდ-ს მიერ შეთავაზებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

უსდ-ს კავკასიის მედიის სკოლას დამატებით აქვს სტუდია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. მედიის სკოლის სტუდია გათვალისწინებულია სხვადასხვა სასწავლო კურსისა და მიმდინარე სტუდენტური პროექტების ფარგლებში მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. კავკასიის მედიის სკოლის სტუდიას აქვს შემდეგი სივრცეები: სატელევიზიო პავილიონი, ე.წ. “ნიუსრუმი”, სამონტაჟო და მედიის სკოლის სტუდენტური პლატფორმა - ონლაინ რადიო CSM. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად აღნიშნული ონლაინ რადიო 2015 წლიდან მაუწყებლობს ფონდ SIDA-სა და “ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერით.

| |
|---|
| უსდ იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას Turnitin-ს. სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალა მეტწილად თანამედროვეა და უზურნველყოფს კურსების ფარგლებში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• უსდ-ს ვებ-გვერდი: www.cu.edu.ge, ბიბლიოთეკა;<br>• უსდ-ს მიერ მოწოდებული ვირტუალური სივრცე და ინფრასტრუქტურის სურათები;<br>• სილაბუსები;<br>• ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ბიბლიოთეკის წარმომადგენლობასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან;<br>• პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• სასურველია ანტიპლაგიატის პლატფორმის Turnitin-ის გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი;<br>• სასურველია უსდ-მ გააძლიეროს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

o  პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o  მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 87 სტუდენტი, მათ შორის 57 აქტიური. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობა წლიდან წლამდე მზარდია და შესაბამისობაშია პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობასთან.

გასათვალისწინებელია, რომ გარე და შიდა მობილობით პროგრამაზე გადმოსულ და გადასულ სტუდენტთა რაოდენობა ბოლო 2 წელია უტოლდება 0-ს, გარდა შიდა მობილობისა (1 სტუდენტი).

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებაში ჩართულნი არიან კავკასიის უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი, კავკასიის მედიის სკოლის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი. ბიუჯეტი მტკიცდება უსდ-ს რექტორის მიერ.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს  უსდ-ს დაფინანსების ძირითად წყაროს, რომელიც არის სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი. სასურველია დაფინანსების ძირითად წყაროსთან ერთად უსდ-მ გააძლიეროს მუშაობა საერთაშორისო გრანტებიდან მისაღები შემოსავლის  გაზრდის მიმართულებით შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციის მიზნით. წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: სწავლების ხარჯი, კვლევითი მიმართულების/სტუდენტთა/პერსონალის განმავითარებელი ხარჯები, პროგრამის მომზადება-განვითარების ადმინისტრირების ხარჯები, პროგრამის აკრედიტაციის ხარჯები, ლიტერატურის ხარჯი და სხვა ხარჯები (10%).  ასევე, პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. ასევე, ადმინისტრაციასთან ინტერვიურების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამის დამტკიცებულ ბიუჯეტში ფინანსურ დეპარტამენტთან და რექტორთან შეთანხმებით, სტრატეგიული მიზნების შესაბამისი პროგრამის განვითარების საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან“ და ბიუჯეტის რომელიმე ხარჯვითი

| |
|---|
| კომპონენტის გაზრდა. ბიუჯეტის კონტროლს ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მომგებიანია და აქვს დადებითი სალდო, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურის გამოყოფა შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და არის მიღწევადი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;<br><br>o უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;<br><br>o ინტერვიუს შედეგები; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
| --- |
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კავკასიის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მარეგულირებელი აქტი "ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების" თაობაზე. აქტით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც „ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღებას." შესაბამისად, ასევე დადგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, მექანიზმები, ამ მექანიზმების გამოყენების წესები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის დადგენილი პერიოდულობით ფასდება უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების, კვლევითი საქმიანობის, მართვა/მენეჯმენტის პროცესები. ამასთან, შეფასების საგანია თავად ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელიც. თითოეული ამ პროცესის შეფასებისათვის განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმები. აღსანიშნავია, რომ აქტი ცალკე გამოყოფს ელექტრონული სწავლების პროცესისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება PDCA ციკლს.<br><br>დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში განხორციელებული კვლევებისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.<br><br>ხარისხის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი გამოკითხვების მიზნებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასებისათვის საჭირო კითხვარების ფორმები. |

საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და უნივერსიტეტის მუშაობის შეფასება, დადგენილი პერიოდულობით, ხორციელდება როგორც თავად პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების, ისე სტუდენტების მიერ. გამოკითხვისა და შეფასების შედეგების თავმოყრასა და ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საბოლოო შედეგებს წარუდგენს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. ამასთან, დადგენილია, რომ მიღებული შედეგების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება პასუხისმგებელი პირების მიერ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესები. შესაბამისად, პროგრამის შემუშავებისათვის, შესაბამისი პირის მიერ ინიცირება ხორციელდება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე.

აქტი ითვალისწინებს დამტკიცებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანის, ასევე მისი გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პირების კანონიერი ინტერესების დაცვისა და მათი სწავლების შემდგომი უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური ელექტრონული პლატფორმა მის მირ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანისათვის, ამ პროგრამის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე. ცვლილებების ინიცირება, პასუხისმგებელ პირთა მიერ განხილვა და დადასტურება ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა ფოკუსჯგუფებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა და თვითშეფასების განაცხადის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა შესაბამისი რგოლი, მათი კომპეტენციების ფარგლებში. პროგრამის შემუშავების მიზნებისათვის დაწესებულებას განხორციელებული აქვს ბაზრის კვლევა, რომელიც წარმოადგენს ანალიზს დასაქმების ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების, საჭიროებებისა და მოლოდინების თაობაზე.

დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი მუდმივად ეცნობა მათ მიერ განხორციელებული საქმიენობის შეფასების შედეგებს და აღნიშნულის საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურსა და სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მომწესრიგებელი აქტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, შესაბამის მექანიზმებს, ასევე ამ მექანიზმების გამოყენების წესებსა და პირობებს, რაც პროცესს ხდის ერთგვაროვანსა და

| |
|---|
| გამჭვირვალეს და ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან სისტემას. რომელიც ფუნქციონირებისათვის იყენებს PDCA ციკლის პრინციპებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>● · სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>● დაწესებულების მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე;<br>● საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი;<br>● ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები;<br>● კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში;<br>● აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარე შეფასების მექანიზმს წარმოადგენს აკრედიტაცია, რომელსაც იყენებს დაწესებულება. შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება განხორციელდა მოქმედი სააკრედიტაციო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, პროგრამას 2012 წლის 11 დეკემბრის N764 გადაწყვეტილების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიანიჭა აკრედიტაცია, თუმცა ასევე გაცემულ იქნა რეკომენდაციები, პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის. აღნიშნული რეკომენდაციების მეტწილად შესრულებულია დაწესებულების მხრიდან, ზოგიერთი მათგანის განხორციელებისათვის კი მიმდინარეობს მუშაობა.

ამასთან, პროგრამა გაანალიზებული იქნა და შედარდა როგორც ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე არსებულ დაწესებულებათა ანალოგიურ პროგრამებს, ისე უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, ამ პროცესის შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დამატებულ იქნა რიგი საგანმანათლებლო კომპონენტები და დაწესებულებამ გაზარდა არჩევითი საგნების რაოდენობა.

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასებისათვის წარედგინათ გარე ექსპერტებს, რომელთა რეკომენდაციები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში.

გარდა ზემოხსენებულისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიში წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულების მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე;
- გარე ექსპერტთა შეფასებები;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის შედარებითი ანალიზი;
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

| |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესის“ მე-6 მუხლით დადგენილია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების განხორციელების პროცედურა, რაც მოიცავს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის: აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების შეხედულებების სისტემატურ კვლევას, მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ განვლილ კურსებს სპეციალური კითხვარის მეშვეობით, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, ხოლო აკადემიური წლის ბოლოს ხორციელდება მთლიანი პროგრამის შეფასება ამ პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი სტურქტურული ერთეულის, სკოლის მიერ. აღნიშნული თვითშეფასება წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს. მიღებული შეფასებების გაანალიზების შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციებით მიმართავს შესაბამის სკოლას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.<br>უნივერსიტეტში დადგენილი წესების თანახმად, პროგრამის შემუშავების ეტაპზე განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა. აღნიშნული კვლევის შედეგები გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის დაგეგმვისას, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას. ამასთან, დამსაქმებლები ინტერვიუს პროცესში ადასტურებენ უნივერსიტეტთან ინტენსიური თანამშრომლობის ფაქტს, არამხოლოდ სტუდენტთა პრაქტიკული |

კომპონენტის განხორციელების ნაწილში, არამედ პროგრამის შინაარსობრივი შეფასებისა და განვითარების ჭრილშიც.

დაწესებულება ახორციელებს სალექციო პროცესის პერიოდულ მონიტორინგს ლექციებზე დასწრების გზით. დაწესებულებაში აღრიცხვას ექვემდებარება თითოეული ლექციის ჩატარების განრიგის შესრულება დადგენილი წესით. ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხორციელდება სასწავლო კურსების, ლექტორების, სკოლების მიხედვით.

პროგრამის მონიტორინგისა და დადგენილი პერიოდულობით შეფასების პროცესს კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ხოლო მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ასევე შესაბამისი ძირითადი სტურქტურული ერთეული, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მონაწილეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულების მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| ტანდარტი | ესაბამისობაშია ოთხოვნებთან | ეტწილად ესაბამისობაშია ოთხოვნებთან | აწილობრივ ესაბამისობაშია ოთხოვნებთან | რ არის ესაბამისობაში ოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წავლების არისხის ანვითარების ესაძლებლობები | √ | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 69

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| ტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლელი ბიბილაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ქეთევან ჩეკურიშვილი

ნატალია თვალჭრელიძე

ნინო დგვეფაძე

სოფიო უგრეხელიძე

---

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით